პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-14 წელი.

კვირა 16 მარტი 1958 წ. № 32 (1202)

ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 მარტი საყოველთაო-სახალხო ზეიმის — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა. ამ დღეს ბედნიერი საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად მივალენ საარჩევნო ყუთებთან, რათა ხმა მისცენ ჩვენი სამშობლოს მოწინავე ადამიანებს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს. ეს იქნება დიადი კომუნისტური პარტიის გარშემო ჩვენი ხალხის მონოლითური დარაზმულობის ჭეშმარიტი დემონსტრაცია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარების შესახებ, გამოქვეყნებულმა ცნობამ ახალი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია სოციალისტური ქვეყნის ადამიანებში, რომლებიც სიხარულით ჩაებნენ წინასაარჩევნო სოციალისტურ შეჯიბრებებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებას დაემთხვა სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ". ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „მტს-ების რეორგანიზაცია, ისევე როგორც მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, რაც უკანასკნელ ხანს განხორციელდა, მოწოდებულია უზრუნველყოს მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობათა და წარმოების რეზერვების მაქსიმალური გამოყენება, მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის შემდგომი განვითარება, დააჩქაროს საბჭოთა საზოგადოების წინსვლა კომუნიზმის გზით".

დიადი კომუნისტური პარტიის ამ ახალმა ზრუნვამ ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებაზე დიდი პოლიტიკური და სამეურნეო აღმავლობა გამოიწვია როგორც საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებში, ისე მთელ საბჭოთა ხალხში. ხალხმრავალ კრებებზე ჩვენი ადამიანები აღფრთოვანებით ლაპარაკობენ, იწონებენ პარტიის ამ ახალ ბრძნულ ნაბიჯს, რომლის განხორციელება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს სოციალისტურ სოფლის მეურნეობას.

ამიტომაა, რომ ჩვენს ხალხს მხურვალედ უყვარს მშობლიური კომუნისტური პარტია — მშრომელთა მოწინავე რაზმი. იგი მუდამ ეყრდნობოდა და ეყრდნობა საბჭოთა ხალხის ნდობას, მილიონობით ადამიანის შემოქმედებით აქტივობას. კომუნისტურ პარტიას სწამს ჩვენი ხალხის ძალა, მისი დაუშრეტელი ენერგია, იგი კანონიერადაა დაკავშირებული ხალხის მასებთან. კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ხალხის დიადი ერთიანობა — აი, ყველა ჩვენი გამარჯვებათა ცხოველმყოფელი ძალა, კომუნიზმის გზით ჩვენი ხალხის მტკიცე წინსვლის საფუძველი. სწორედ ამ ურყევი ერთიანობის მკაფიო გამოხატულებაა კომუნისტებისა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკი.

ხმა მიეცეთ კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს — ჩვენი სამშობლოს მოწინავე ადამიანებს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ჩვენი ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

ყველანი არჩევნებზე!

„საუკეთესო, რომელმაც ვერ გაიმარჯვა"

ასეთი სათაურით დაიბეჭდა წერილი ვარშავის სპორტულ გაზეთში („პშეგლენდ სპორტოვ"), რომელშიც აღწერილია სათხილამურო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო დღე — ხტომა ტრამპლინიდან.

სათაური ეხება კობა წაქაძეს.

პოლონეთის სპორტული გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი ლახტში აღფრთოვანებით წერს ქართველი მოთხილამურის კობა წაქაძის შესახებ, რომელიც მისი სიტყვებით საუკეთესო იყო ჩემპიონატის მონაწილეთა შორის, მაგრამ მაინც ვერ მობედა გამარჯვებულებში თავისი ტრადიციული დაცემის გამო.

„ძნელია რაიმე უსაყვედურო ჩემპიონს — ფინელ ი. კიარკინენს, — წერია სტატიაში. — მისი ორივე ნახტომი კარგ ხტილში იქნა შესრულებული და აი სიგრძე იყო მცირე (74 და 68,5 მ). დიდი მოწონება ჰპოვა მეორე პრიზიორმა ე. ჰუტაიმაც. მაგრამ წაქაძე სულ სხვაა.

გინახავთ მიმინო, რომელიც ფრთებშეკრული ისარივით ეძგერება მსხვერპლს? ეს შესანიშნავი სანახავია და აი სწორედ ასეთია კობა, როცა იგი ჰაერშია.

წაქაძის გამოსვლას მოუთმენლად მოველოდით. გატრუნული მაყურებლები თვალს არ აცილებდნენ მიმინოს გაფრენას ჰაერში, მაგრამ იგი ზედმეტად დაიბარა წინ, დროზე ვერ გასწორდა... და ტრიბუნებმა სიმწრით ამოიოხრეს. წაქაძე დაეცა.

მეორე ნახტომისას წაქაძეს ალარაფერი ჰქონდა დასაკარგი— პრიზიორებში იგი მაინც ვერ ხვდებოდა. ამიტომ მან გადაწყვიტა ეჩვენებინა ფინელებისათვის თუ რა არის ხტომა ტრამპლინიდან.

და აჩვენა კიდეც. ასეთი სილამაზის ნახტომი ლახტის ჩემპიონატში არ შესრულებულა. მაგრამ დაცემა პირველ ცდაში?..

ერთი სიტყვით, საუკეთესომ ვერ გაიმარჯვა".

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მიიღო დადგენილება 1959 წლის სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის ჩატარების შესახებ.



ლიდერობს მ. ბოტვინიკი

ყველა დარწმუნებული იყო, რომ ბოტვინიკი შეძლებდა უპირატესობის რეალიზაციას III პარტიაში, რომელიც გადადებული იყო. თამაშის განახლებისას მან მეთოდურად გააქარწყლა სმისლოვის აქტივობა, ხოლო ლაზიერის ფრთაზე გადამწყვეტი გარღვევით 67-ე სვლაზე გაიმარჯვა. ამით ორთაბრძოლის ანგარიში გახდა 3:0 ბოტვინიკის სასარგებლოდ.

IV პარტიაში, რომელიც 13 მარტს შედგა, სმისლოვმა შავებით გაითამაშა გრიუნფელდის დაცვა, რომელშიც გამოიყენა საკუთარი ვარიანტი. უკანასკნელ დროში საერთო აღიარებით ეს ვარიანტი შავებს მძიმე თამაშს აძლევს. მაგრამ სმისლოვის მიერ მისი გამოყენება იმას მოწმობდა რომ მას რაიმე ახალი გაძლიერება ეკნებოდა. ალბათ ასე იფიქრა ბოტვინიკმა, როცა თავი აარიდა ცნობილ გაგრძელებას. ლაზიერის უჩვეულო მანევრით მან სმისლოვს საშუალება მისცა (მე-12 სვლა) პაიკის შეწირვით ხელსაყრელი თამაში მიეღო. ხაზები გაიხსნა და ამოქმედდნენ მსოფლიო ჩემპიონის ფიგურები. ბოტვინიკმა ლაზიერები გაცვალა.

მძიმე მდგომარეობაში ბოტვინიკმა გამოამჟღავნა დიდი შეუპოვრობა და სიმტკიცე. პაიკის დათმობით მან გამოაცოცხლა თავისი ფიგურები, ხოლო ეტლების გაცვლით მინიმუმამდე დაიყვანა სმისლოვის უპირატესობა. მანევრულ ბრძოლაში ბოტვინიკმა შექმნა დაცვის საიმედო პოზიცია, ასეთ მდგომარეობაში პარტია გადაიღო.

14 მარტს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოხდა ამ პარტიის დამთავრება. გროსმაისტერებისა და ოსტატების აზრით სმისლოვს უნდა მოეგო იგი. მაგრამ ბოტვინიკმა ამომწურავად გამოიყენა ყაიმისათვის ყველა არსებული კონტრშანსი. მეორე პაიკის შეწირვით მან შექმნა საყაიმო პოზიცია. სმისლოვის ცდა მოენახა მოგების გზები უშედეგო აღმოჩნდა. ამიტომ იგი 82-ე სვლაზე შეურიგდა ყაიმს.

ამრიგად, IV პარტიის შემდეგ მატჩ-რევანშის ანგარიშია 3,5:0,5 მ. ბოტვინიკის სასარგებლოდ.

სამი ქვეყნის ჩოგბურთელთა მონაწილეობით

დიდი ინტერესი გამოიწვია ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირმა, რომელშიც მონაწილეობდნენ ბელგიის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები. შეხვედრები მოეწყო „დინამოსა" და „ენერგიის" კორტებზე, მოსკოვში.

ქალთა შორის პირველი ადგილი დაისაკუთრა ბელგიის ჩემპიონმა კ. დე მერსელისმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა საფრანგეთის ჩემპიონი ს. ლე ბენერე — 7:5, 6:2. ვაჟთა ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ბელგიის ჩემპიონი ჟ. ბრიშანი და ფრანგი რ. აიე. გაიმარჯვა ფრანგმა ჩოგბურთელმა — 6:2, 7:5, 2:6, 6:2. ქალთა წყვილების შეხვედრები მოიგეს ფრანგებმა ს. ლე ბენერემ და ჟ. ბიიაზმა. მათ ფინალში დაამარცხეს მერსელისი (ბელგია) და ვ ტამი (საბჭოთა კავშირი) — 6:4, 6:4. მესამე ადგილი წყვილთა შეხვედრებში დაიკავეს მ. ემელიანოვამ და ე. ლარინამ.

ვაჟთა წყვილი რ. აიე და პ. რემი (საფრანგეთი) უძლიერესი გამოდგა ტურნირში. მათ სამ პარტიაში მოუგეს ფინალური ბრძოლა საბჭოთა ჩოგბურთელებს ტ. ლეიუსს და ი. პარმასს — 6:2, 6:4, 6:1. აქ მესამე ადგილზე გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ს. ანდრეევი და ს. მირზა. შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ ბელგიელები კ. დე მერსელისი და ჟ. ბრიშანი, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს ფრანგები — ჟ. ბიიაზი და რ. აიე.

ე. ბიკოვა—მსოფლიო ჩემპიონი

მსოფლიო ჩემპიონ ო. რუბცოვას მაღალი ტიტულის შენარჩუნებისათვის აუცილებლად უნდა მოეგო დარჩენილი სამი პარტია. ამიტომ XIV ტურში იგი თავგამოდებით იბრძოდა გამარჯვებისათვის. თამაში ორ დღეს გაგრძელდა. რადგანაც ბიკოვას მსოფლიო ჩემპიონის სახელის დაბრუნებისათვის ყაიმი ყოფნიდა, იგი თავს არიდებდა თამაშის გართულებას. შემდეგ რუბცოვამ სამჯერ გაიმეორა ერთიდაიგივე პოზიცია და ბიკოვამ, არსებული წესის მიხედვით, მოთხოვა მსაჯთა კოლეგიას პარტია ყაიმად ეცნო. მისი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. ამით ე. ბიკოვამ მოაგროვა 8,5 ქულა და დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონის სახელი.

* * *

მსოფლიო ჩემპიონის სახელი ქალთა შორის 1928 წელს შემოიღეს. მაშინ იგი მოიპოვა ვერა მენჩიკმა, რომელსაც შვიდჯერ მოუხდა „ჭადრაკის სამეფო ტახტის" დაცვა. 1944 წელს ვ. მენჩიკი დაღუპა ფაშისტების მიერ ლონდონის დაბომბვის დროს. 1950 წელს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ მოაწყო ტურნირი მსოფლიოს "ახალი ჩემპიონის გამოსავლინებლად. ჩემპიონი გახდა საბჭოთა მოჭადრაკე ლ. რუდენკო. 1953 წელს მას მატჩი მოუგო ე. ბიკოვამ, ხოლო 1956 წელს სამთა მატჩ-ტურნირებში I ადგილი ო. რუბცოვამ დაიკავა. ე. ბიკოვას როგორც მსოფლიო ჩემპიონს, ჰქონდა რევანშის უფლება. მან ეს უფლება გამოიყენა და დაიბრუნა დაკარგული „გვირგვინი".

სპორტის დამსახურებულ ოსტატს ე. ბიკოვას მრავალ შეჯიბრებაში უსახელებია თავი. იგი რამდენჯერმე იყო საბჭოთა კავშირისა და მოსკოვის ჩემპიონი.

ე. ბიკოვა ავტორია საინტერესო წიგნებისა საბჭოთა მოჭადრაკე ქალებისა და მსოფლიოს ჩემპიონ ვ. მენჩიკის შესახებ. ე. ბიკოვა, ახლა 43 წლისაა. იგი პროფესიით ეკონომისტია.

მსოფლიოს ჩემპიონმა ე. ბიკოვამ მრავალი მოლოცვა მიიღო როგორც საბჭოთა კავშირიდან, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	XIII	XIV	ქულა	ადგ.
ე. ბიკოვა	0	1	0	½	0	½	1	1	1	1	1	1	0	½	8½	
ო. რუბცოვა	1	0	1	½	1	½	0	0	0	0	0	0	1	½	5½	

რ. შავლაყაძე — ლენინგრადის ჟურნირში გამარჯვებული

სსრ კავშირის ზამთრის პირველობა მძლეოსნობაში

ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მძლეოსანთა ზამთრის პირველობაზე, რომელიც ამ დღეებში ლენინგრადის დახურულ სტადიონზე ჩატარდა, თავი მოიყარა 400-მდე სპორტსმენმა შეჯიბრების შედეგები ნათლად მეტყველებენ, რომ მძლეოსნებს უქმად არ დაუკარგავთ განვლილი პერიოდი, საგრძნობლად დაუხვეწიათ რბენის, ხტომის, ტყორცნის ტექნიკა. მართალია ამ პირველობაზე მრავალ მოულოდნელობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ გასული წლის საშემოდგომო პირველობისაგან განსხვავებით (როცა ჩვენი ქვეყნის წამყვან სპორტსმენთა პოზიციებს შეუტიეს ახალგაზრდებმა) საპრიზო ადგილები ძირითადად „ვეტერანთა“ შორის განაწილდა.

60 მეტრზე რბენაში არა მარტო გამარჯვებულთა შორის, არამედ ნახევარფინალშიც ვერ მოხვდნენ ლ. ბარტენევი და ი. კონოვალოვი, რამაც ცხადყო, რომ სწორედ მოკლე მანძილზე რბენა (განსაკუთრებით სტარტი) დღემდე შეადგენს ჩვენი ქვეყნის სპრინტერთა „აქილევსის ქუსლს“. მართალია, 100 მეტრზე ბარტენევმა და კონოვალოვმა შეძლეს უძლიერესთა სამეულში შესვლა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ კარგი ფინიშის წყალობით. ამასთან ბარტენევის შედეგი — 10,5 წამი 0,1 წამით აღემატება საკავშირო მიღწევას დახურული შენობისათვის, რომელიც დამყარებული იყო 1951 წელს ლ. კალიაევის მიერ. ბარტენევის შედეგი გერმანელი იონტის მიერ 25 წლის წინათ ნაჩვენები მსოფლიო მიღწევის განმეორებაა.

უკანასკნელ პერიოდში მძლეოსნებმა 22 შესწორება შეიტანეს საკავშირო მიღწევებში დახურული შენობისათვის. ამჯერადაც საკმაოდ მაღალი შედეგები იქნა ნაჩვენები. საკმარისია აღინიშნოს გ. ზიბინა, რომელმაც 29 სანტიმეტრი წაუმატა ძველ შედეგს და ახალი საკავშირო მიღწევით — 16,38 მ. პირველი ადგილი მოიპოვა ბირთვის კვრაში. მორიგი საკავშირო მიღწევა დაიბადა სამხტომში, როცა ე. ჩიბინა დაძლია 15 მ 66 სმ, რაც 4 სანტიმეტრით აღემატება მსოფლიო მიღწევას, დახურული შენობისათვის. კიდევ ერთი შესწორება შეეხო ცხრილში ... 500 მეტრზე ... 1.15,3.

როცა ჭოკით მხტომელთა შეჯიბრება დამთავრდა გამოირკვა, რომ გამარჯვებულ ე. ტროფიმოვიჩს დაეძლია 4 მ და 32 სმ და გაეუმჯობესებინა 1953 წელს დამყარებული საკავშირო მიღწევა.

ამ შეჯიბრებაზე ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობდა 12 სპორტსმენი, რომელთა შორის იყვნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დვალიშვილი, სპორტის ოსტატი რ. შავლაყაძე, მ. ტუღუში, რ. ტრაპაიძე, ლ. ანთაძე და სხვები. სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა თბილისელმა რ. შავლაყაძემ, რომელმაც ორი მეტრი სიმაღლე დაძლია. ასევე თვე შედეგები აჩვენეს II, III და IV ადგილებზე გამოსულმა სპორტსმენებმა, მოსკოველებმა ვ. სმირნოვმა („ბურევესტნიკი“), ი. ჩისტიაკოვმა („დინამო“) და ლენინგრადელმა ვ. ბულკინმა („ბურევესტნიკი“). ვინაიდან შავლაყაძემ ეს სიმაღლე ნაკლებ ცდაში დაფარა, პირველი ადგილიც მას მიენიჭა

მ. ხერხეულიძე



ი. კიზირია

ღვაწლმოსილნი

მიხეილ ზურაბის-ძე ხერხეულიძე ქართული სპორტის მხცოვან მოღვაწეთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი საზოგადოებრივ-სპორტული მოღვაწეობა 30-ზე მეტ წელს ითვლის. იმის გარდა, რომ მ. ხერხეულიძე საყოველთაოდაა ცნობილი სპორტის ენთუზიასტად, კერძოდ, ქართული ჭიდაობის ღვაწლმოსილ მოამაგედ და ორგანიზატორად, იგი ამავე დროს, ფართო დიაპაზონის, მრავალმხრივი ინტერესების მქონე საზოგადოებრივ მუშაკად წარმოგვიდგება ამჟამად პენსიონერი, მიხეილ ზურაბის-ძე მრავალწლიან ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა იურისპუდენციის სფეროში (დაამთავრა დორპატის — ამჟამად ტარტუს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი) საქართველოს სხვადასხვა რაიონებში: თელავში, გორში, ხაშურში, ყაზბეგში, გურჯაანში, აფხაზეთსა და თბილისში, აქტიურ მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკისა და რაიონების თეატრალურ ცხოვრებაში, წერდა დრამატურგიულ ნაწარმოებებს, თეატრალურ რეცენზიებს, რაიონების სცენებზე დგამდა სპექტაკლებს და მონაწილეობდა როლებში.

მ. ხერხეულიძის სახელი განუყოფლადაა დაკავშირებული ქართული ჭიდაობის განვითარების საპჭოთა პერიოდთან. მისი დაინტერესება სპორტის ამ შესანიშნავი ეროვნული სახეობით ჯერ კიდევ ბავშვობის წლებს მიეკუთვნება. 1928 წლიდან კი, როცა მ. ხერხეულიძე ოურიდიულ მუშაობას იწყებს გორში, ის მწვრთნელ გიგლა ალექსიძესთან და ფიზკულტურის ხელმძღვანელ ბესიკ მირზაშვილთან ერთად, სათავეში უდგება ადგილობრივად ქართული ჭიდაობის ორგანიზაციის საქმეს, თანდათანობით აფართოვებს თავისი მოღვაწეობის დიაპაზონს და დღემდე დაუღალავად იღწვის მისი საამაყო ტრადიციების შენარჩუნება-განვითარებისათვის, მომავალი თაობისათვის მისი შეუბღალავად გადაცემისათვის.

მას შემდეგ არ ყოფილა არცერთი შეჯრება ქართულ ჭიდაობაში, სადაც მ. ხერხეულიძეს თავისი ღირსეული და დასაფასებელი წვლილი არ შეეტანოს როგორც ორგანიზაციული, ისევე სამსაჯო თვალსაზრისით. ამ მრავალწლოვან მოღვაწეობაში, როგორც იტყვიან, მის ხელში აღიზარდნენ ძველი პლეადის ისეთი გამოჩენილი მოჭიდავეები, როგორიც იყვნენ ს. ნაკაშაშვილი, ვ. ბერელაშვილი, ც. სიმონიშვილი, ბ. გლურჯიძე, გ. სათაშვილი, ა. შახნაზაროვი, შ. მაჰისთვალოვი და სხვანი.

მ. ხერხეულიძე შეუცვლელად ხელმძღვანელობს სამსაჯო მოსამზადებელ სემინარებსაც, რომლის შეოხებით რესპუბლიკაში 300-ზე მეტი მსაჯი მომზადდა, მათ შორის — ბევრი რესპუბლიკური კატეგორიისაც. ამავე დროს ის არ სჯერდება პრაქტიკულ მოღვაწეობას და ნაყოფიერად მუშაობს ქართული ჭიდაობის ისტორიის საკითხებზე, პერიოდულად აქვეყნებს ღირსშესანიშნავ წერილებს ძველ ქართველ ფალავანთა შესახებ, ამ თემაზე წერს შრომას.

ქართული სპორტის მხცოვანი მოღვაწის, ჭიდაობის ეროვნული სახეობის მოამაგის მიხეილ ზურაბის-ძე ხერხეულიძის მთელი ეს შრომა კიდევ ერთხელ იქნა დაფასებული დამსახურებისამებრ. ამ დღეებში ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის ბრძანებით იგი დაჯილდოებულ იქნა, პირველად საქართველოში, სპატიო ნიშნით — „სსრკ საზოგადოებრივი ინსტრუქტორი“.

ვ. ტერუნოვი

* * *

ისაკ დიმიტრის-ძე კიზირია 1917 წელს შეუდგა საზოგადოებრივ საქმიანობას და მისი პირველივე ნაბიჯები მშრომელთა მასებში ფიზიკური კულტურის დანერგვისა და ეროვნული სპორტული სახეობების აღორძინების კეთილშობილურ საქმეს დაუკავშირდა. ამ დროიდან ვიდრე 1933 წლამდე, ქ. ცხაკაიაში, ქობულეთში, ხულოს, ქედისა და ბათუმის რაიონებში მუშაობის დროს მას მრავალგზის ხვდა ბედნიერება ამ რაიონებში პირველი ფიზკულტურული ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და ხელმძღვანელობისა. მას შემდეგ კიდევ უფრო მრავალმხრივ გაიშალა სპორტის ამ ენთუზიასტის, ეროვნულ სახეობათა, განსაკუთრებით კი — ცხენოსნობის დაუღალავი მოამაგის მოღვაწეობა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში — ქუთაისში, თბილისში, სპორტსაზოგადოებათა „პაშჩევიკისა“ და „კოლმეურნეს“ ხელმძღვანელ სამუშაოებზე.

ი. კიზირია მრავალი წლის განმავლობაში, ვიდრე დღემდე, სოფლად ფიზკულტურული მუშაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი და ენთუზიასტია.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ ი. კიზირია პენსიაზე გადავიდა. მაგრამ ეს არ იყო ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებრივი მუშაობისაგან მხცოვანი, მაგრამ დაუზარელი ადამიანის „პენსიაზე გასვლა“. საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის წინ ის ჭაბუკური ენთუზიაზმით მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში და 40-მდე სოფელში წაიკითხა ლექციები ამ დიდი ფიზკულტურული ღონისძიების შესახებ; 1956 წელს ის სპეციალური კონსულტანტია კინოფილმ „ბაში აჩუკის“ გადაღების პროცესში; 1957 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის ფიზკულტურულ კოლექტივს უწევს დახმარებას, კონსულტაციებს და ეხმარება აგრეთვე აბაშის რაიონის 25-მდე ფიზკულტურულ კოლექტივს; 1958 წელს საწარმოო ტანვარჯიშის საკითხებს არკვევს ქუთაისისა და ფოთის საწარმოებში.

განსაკუთრებით დიდია ი. კიზირიას დამსახურება ცხენოსნური სპორტის ეროვნულ სახეობათა შესწავლის, წესების რეგლამენტირებისა და აღორძინების საქმეში. ამ ფასდაუდებელი მოღვაწეობისათვის, მას სპორტის დამსახურებული ოსტატის მაღალი წოდებაც მიენიჭა.

დღეს მხცოვანმა და ღვაწლმოსილმა ფიზკულტურულმა მუშაკმა თავისი შრომის კიდევ ერთი ღირსეული ნაყოფი მოიმკო: ის, პირველად საქართველოში, სპატიო ნიშნის — „სსრკ საზოგადოებრივი ინსტრუქტორის“ მფლობელი გახდა.

შ. ჯუღელი.

ნაკლოვანებათა მხილების გზით

1956-1957 წლებში საგრძნობლად იმატა ჩვენი რესპუბლიკის საჭადრაკო ცხოვრების მაჯისცემამ. ქართველმა მოჭადრაკეებმა დიდ სპორტულ და შემოქმედებით წარმატებებს მიაღწიეს საკავშირო სარბიელზე. ბევრი გაკეთდა მოჭადრაკეთა ნორჩი თაობის აღზრდისათვის. მათთვის თბილისში გაიხსნა ჭადრაკის სპეციალიზირებული სკოლა. ბავშვების საუკეთესო მწვრთნელს ვ. ქარსელაძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის საპატიო სახელი. პირველად თბილისში საკავშირო XXIV და XXV პირველობის ზონალური და ნახევარფინალურ შეჯიბრებათა დროს გამოდიოდა სპეციალური საჭადრაკო ბიულეტენები. ბათუმში, სოხუმში, სტალინირში, ზუგდიდში გაიხსნა საჭადრაკო კლუბები.

მიუხედავად ამისა, ამას წინათ ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა საჭიროდ სცნო დაეშალა რესპუბლიკური საჭადრაკო სექცია. ეს უკიდურესი ღონისძიება გამოწვეული იყო სექციის ცუდი მუშაობით.

ახალი, ქმედითი სექციის არჩევნებისა და მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამომჟღავნებისა და მათ გამოსასწორებელ ღონისძიებათა შემუშავებისათვის ამას წინათ თბილისში გაიმართა მოჭადრაკეთა რესპუბლიკური პლენუმი, რომელსაც დაესწრნენ თბილისის, ქუთაისის, სტალინირის, ფოთის, წულუკიძისა და სხვ. რაიონების საჭადრაკო აქტივის წარმომადგენლები.

საქართველოში საჭადრაკო საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ჭადრაკში სახელმწიფო მწვრთნელმა გ. გაჩეჩილაძემ. გაწეული მუშაობისა და დაშლილი სექციის ნაკლოვანებათა მიზეზების შესახებ ილაპარაკა თ. გიორგაძემ.

ახალგაზრდა მოჭადრაკეებთან მუშაობის საკითხს შეეხო თავის გამოსვლაში სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. გოგლიძე. ახალგაზრდობამ მეტი უნდა ითამაშოს და მეტიც უნდა იმუშაოს თავისთავზე. ამისათვის ვ. გოგლიძის აზრით დროულია შეიცვალოს დედაქალაქის პირველობების გათამაშების სისტემა.

იმაზე, რომ დედაქალაქის მოჭადრაკეებისათვის ცოტა ტურნირები ეწყობა ილაპარაკა ც. არუთინიანმა („დინამო“). მან აგრეთვე აღნიშნა, რომ დედაქალაქის მუშათა კლუბებში ჭადრაკს ნაკლები ყურადღება ექცევა. ცუდად მუშაობს თბილისის საჭადრაკო სექცია, რომელსაც უკვე რამდენიმე თვეა არ ჰყავს თავმჯდომარე.

აქტივმა ინტერესით მოისმინა რაიონებიდან ჩამოსული წარმომადგენლების გამოსვლები. ა. კოკოიანმა (ახალციხე) მოიყვანა საგულისხმო ფაქტი ახალციხის საჭადრაკო კლუბის დახურვის შესახებ, რის შედეგად რაიონში ჩაიშალა საჭადრაკო მუშაობა. ფიზკულტურის რაიონული კომიტეტი აქ მოჭადრაკეებს არავითარ დახმარებას არ უწევს.

ქ. ქუთაისის საჭადრაკო კლუბისადმი ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის უყურადღებობაზე ილაპარაკა დ. ჩირაძემ (ქუთაისი).

დ. ჩირაძემ დასვა საკითხი, მოეწყოს მწვრთნელთა თათბირი გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის და სემინარი სწავლების ახალი მეთოდების შესასწავლად. წულუკიძის საჭადრაკო აქტივის მუშაობაზე მოუთხრო პლენუმს ი. ჩირგაძემ. მანვე აღნიშნა, რომ რაიონს დღემდე არა აქვს კლუბი.

კარგად მუშაობს ფოთის საჭადრაკო აქტივი. აქ ბევრი რამ კეთდება ჭადრაკის დანერგვისათვის, — აღნიშნა ი. ლოლუამ — მაგრამ ქალაქში ბავშვებთან სამუშაოდ ძალზე ცოტა ჯგუფებია შექმნილი. ამიტომაც ახალი თაობა ნაკლებად იზრდება. საგულისხმოა ი. ლოლუას წინადადება—კვლავ განახლდეს საქართველოს გუნდური პირველობების გათამაშება. ამ წინადადებას პლენუმი კმაყოფილებით შეხვდა.

შემდეგ მოეწყო ახალი რესპუბლიკური საჭადრაკო სექციის არჩევნები. სექციის პრეზიდიუმში არჩეული არიან გ. ჯაბუა (თავმჯდომარე), ა. ფირცხალავა (მოადგილე) გ. გამრეკელი (მდივანი), პროფესორი მ. ერისთავი, ქ. ციციშვილი, ვ. ეღენტი, ვ. ქარსელაძე, მ. შიშოვი, ვ. გოგლიძე, თ. გიორგაძე, გ. ნადარეიშვილი, ქ. გოგიავა, გ. ოსიპოვი.

რესპუბლიკურ საჭადრაკო პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ბოჭორიძემ.

შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა

დედაქალაქის 51-ე საშუალო სკოლაში ორ კვირას გრძელდებოდა შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა. პროგრამაში იყო მძლეოსნობა, კალათბურთი, ტანვარჯიში და ჭადრაკი. სტარტზე გამოვიდა 160 მოსწავლე.

მძლეოსანთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვეს მე-8 კლასელებმა. პირად ჩათვლაში გოგონათა შორის 60 მეტრზე რბენაში სკოლის ჩემპიონი გახდა მე-8 კლასელი ი. მაზარაძე. მისი თანაგუნდელი ნ. ნიჟარაძე ფინიშთან პირველი მივიდა ამავე დისტანციაზე რბენაში ვაჟთა შორის. სიგრძეზე ხტომასა და ყუმბარის ტყორცნაში გოგონებიდან ყველას აჯობა მ. გლურჯიძემ (მე-8 კლასი), ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომაში გაიმარჯვა მეშვიდეკლასელმა ა. გოგოლაშვილმა, ხოლო ყუმბარის ტყორცნაში — ო. ქაჯაიამ (მე-8 კლასი).

ტანვარჯიშში პირველობა მოიპოვეს — გოგონათა შორის ი. შუთიძემ, ჭაბუკებში — ა. გოგოლაშვილმა. გუნდური პირველი ადგილი მიეკუთვნათ მე-7 კლასელებს. მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში სკოლის ჩემპიონი გახდა მე-9 კლასელი ი. იობაძე.

სპარტაკიადაში საერთო პირველი ადგილის მოპოვებისათვის მერვეკლასელებს გადაეცათ ვიმპელი.

ი. ხაბეიშვილი

ლენინური

მე-2 გვ. № 32 (1202)

რეკორდები ძალოსნობაში

...ველოს უძლიერეს ძალ-
...ჩემპიონატმა, რომელიც ჩა-
...თელავში, ადგილობრივ
...ს მოყვარულთა დიდი ინტე-
...ამოიწვია. შენობა, სადაც გა-
...ნენ სპორტსმენები, მუდამ
...იყო სავსე. ისინი გულდას-
...ენებდნენ თვალყურს უძ-
...თა გამოსვლებს — ბრძოლას
...ლიკის ჩემპიონის წოდებისა-

... წონაში გამარჯვების პრე-
...ტები ძირითადად თბილისელი
...ები იყვნენ. მათ შორის ყვე-
...ყარგი შანსები ჰქონდათ და-
...ლსა და კამალოვს. სპორტ-
...ს პირველ მოძრაობაში —
...ერთნაირი შედეგები აჩვე-
...85 კილოგრამი, ატაცში და-
...ლმა დასძლია 87,5 კილოგრა-
...ლოვი მას 5 კილოგრამით
... უკანასკნელი მოძრაობა —
...დიდი უპირატესობით უნდა
...კამალოვს, რომ ჰქონოდა
... ადგილზე გასვლის შანსი.
...დათიკაშვილმა აქაც დაამტკი-
...ისი უპირატესობა და აკრა
...ლოგრამი, იმ დროს, როდესაც
...მეტოქემ დასძლია მხოლოდ
...ლოგრამი. დათიკაშვილი გახ-
...ლიკის ჩემპიონი (სამჯი-
...ში — 287,5 კგ).

...ებუშუ წონაში პირველობისა-
...ბრძოდნენ წოწოლაშვილი და
... აჭიმვაში წოწოლაშვილმა
...97,5 კილოგრამი. ფერაძე მას
...ოგრამით ჩამორჩა. სამაგიე-
...ერაძემ მოიგო ბრძოლა ატაც-
...ცა 2,5 კილოგრამის უპირა-
... კვლავ წოწოლაშვილის მხა-
...ო. პირველობისათვის ბრძო-
...ედი უნდა გადაწყვიტა აკვ-
... უძლიერესი გამოდგა წოწო-
...ი, რომელმაც დაძლია 120
...ამი, ფერაძემ აჭკრა მხოლოდ
...კგ. ამრიგად ქვემსუბუქ წონა-
...ბლიკის ჩემპიონი გახდა
...შვილი.

... მომზადება გამოაელინა
...ბრდა კაცობაშვილმა მსუბუქ
... მართალია, მან წაგო პირვე-
...ძრაობა ჩალათაშვილთან, მაგ-
...აცში ახალგაზრდა ძალოსანმა
...ბლად გაუსწრო თავის მეტო-
... გაინაღდა გამარჯვება. აკვ-
...ორივე სპორტსმენს ერთნაირი
... ჰქონდათ — 127,5 კილო-
...წარმატებას მიაღწია რადიმა-
... ქვესაშუალო წონაში. მან
... დაამყარა ახალი რესპუბლი-
...რეკორდი შედეგით — 117,5
...და საქართველოს ჩემპიონი.
...შვილმა სამჯიდის ჯამში 15
...რამით გაასწრო მეორე ად-
... გამოსულ მომინოშვილს.
...ზე საინტერესო ბრძოლა
...ობისათვის გაიმართა საშუა-
...ნაში. ჯერ იყო და თბილი-
... გალოიანმა აჭიმა 130 კილო-
... გაუმჯობესა ძველი რეს-
...ური რეკორდი და სათავეში
... პირველობისათვის ბრძო-
... ჩემპიონობის მეორე პრე-
...ტმა ყუბანეიშვილმა აჭიმა
...დ 120 კილოგრამი. მაგრამ

ილიჩის სახელობის გულრიფშის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. მოწინავეა მისი მრავალრიცხოვანი ახალგაზრდობაც, რომელიც ენთუზიაზმით შრომობს მეურნეობის მინდვრებში, პლანტაციებში, ბაღებში, ვენახებში და ამავე დროს მთელის არსებით ეძლევა თავის საყვარელ საქმეს — ფიზკულტურასა და სპორტს. მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანია რამინ მირგატია, რომელიც ყოველდღიურ შრომით ნორმებს 120-130 პროცენტით ასრულებს და მეურნეობის მოწინავე სპორტსმენად ითვლება.

ხურათზე: რამინ მირგატია დავალებას ილებს მეურნეობის მთავარი ინსტრუქტორისაგან.

ფოტო ჯ. ანთიასი.

საქართველოს 1958 წლის პირადი პირველობა სიმძიმეთა აწევაში.

უკვე მეორე მოძრაობაში — ატაცში ყუბანეიშვილმა ლიდერთან გახსხვავება 5 კილოგრამამდე დაიყვანა, ამასთან მან გაუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი (120 კილოგრამი). ბრწყინვალედ გამოვიდა იგი აკვრაშიც. — 157,5 კილოგრამი! ეს წონაც ახალი რესპუბლიკური რეკორდი იყო. გალოიანმა შეძლო მხოლოდ 150 კილოგრამის აწევა. ამით მან პირველობა დაუთმო ახალგაზრდა მზარდ სპორტსმენს ყუბანეიშვილს, რომელმაც სამჯიდის ჯამში დააგროვა 397,5 კილოგრამი და თავისი გამოსვლა კიდევ ერთი რესპუბლიკური რეკორდით აღნიშნა. გალოიანი გამარჯვებულს ჩამორჩა 2,5 კილოგრამით.

ქვემძიმე წონაში კონკურენციის გარეშე იყო ებრალიძე, რომელმაც სამჯიდის ჯამში დააგროვა 407,5 კილოგრამი და დაიკავა პირველი ადგილი. ამასთან ებრალიძემ დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი აჭიმვაში — 132,5 კგ. თავის კონკურენტებზე გაცილებით მაღლა იდგა მძიმე წონის ძალოსანი ქართველიშვილი, რომელსაც მიეკუთვნა რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება.

ჩატარებულმა ჩემპიონატმა გვიჩვენა, რომ რესპუბლიკის ძალოსნებს უკანასკნელ პერიოდში ეტყობათ წინსვლა, გაიზარდა ახალგაზრდა სპორტსმენთა ოსტატობაც. ეს პირველ რიგში ითქმის ნიჭიერ ძალოსანზე — ყუბანეიშვილზე, რომელიც 1940 წელშია დაბადებული. კარგი მომზადება გვიჩვენეს აგრეთვე ქუთაისელმა კოსტავამ, თბილისელებმა ჩოჩიევმა, ხაჯიევმა და სხვებმა.

ზოგიერთ წონით კატეგორიებში, პირველ რიგში კი მჩატესა და ქვემსუბუქ წონებში, ნაჩვენები იქნა ძალზე დაბალი შედეგები. ასე მაგალითად: სპორტის ოსტატმა დათიკაშვილმა პირველი ადგილი დაიკავა დაბალი მაჩვენებლით (287,5 კგ). უნდა ითქვას ისიც, რომ ეს მაჩვენებელი 17,5 კილოგრამით უარესია მისივე საუკეთესო შედეგზე. ძალოსანთა ერთ ნაწილს არ ეტყობა წინსვლა ოსტატობის ამაღლებაში. ასეთთა რიცხვს ეკუთვნიან ფერაძე, წერალავი, ჭირაქაძე და სხვები.

ვ. კუხიანიძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი

* * *

ტექნიკური შედეგები:

მჩატე წონა. 1. რ. დათიკაშვილი — 287,5 კგ. (85+87,5+115), 2. გ. კამალოვი—275 კგ. 3. უ. ჭირაქაძე — 267,5 კგ.

ქვემსუბუქი წონა. 1. ი. წოწოლაშვილი — 305 კგ. (97,5+87,5+120), 2. ნ. ფერაძე—295 კგ. 3. გ. მკრტჩიანი — 265 კგ.

მსუბუქი წონა. 1. შ. კაცობაშვილი — 327,5 კგ. (102,5+57,5+127,5), 2. კ. ჩალათაშვილი — 325 კგ. 3. დ. ეპრიკიანი — 317,5 კგ.

ქვესაშუალო წონა. 1. ვ. რადიმაშვილი — 380 კგ. (120+110+150), 2. მინინოშვილი — 365 კგ, 3. პ. კოსტავა — 345 კგ.

საშუალო წონა. 1. ი. ყუბანეიშვილი — 397,5 (120+120+157,5), 2. რ. გალოიანი — 395 კგ. 3. ზ. ჩოჩიევი — 370.

ქვემძიმე წონა. 1. კ. ებრალიძე — 407,5+132,5+120+155), 2. გ. კოშაძე — 392,5, 3. გ. სანიკიძე — 380 კგ.

მძიმე წონა. 1. ი. ქართველიშვილი — 427,5 (145+127,5+155), 2. მ. მინასიანი — 400 კგ. ფ. ხაჯიევი — 362,5.



ხურათზე: ქვემძიმე წონის ძალოსანი კ. ებრალიძე რესპუბლიკური რეკორდის დამყარების დროს. ფოტო მ. ზარგარიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინგრადში შეიკრიბნენ უძლიერესნი

ლენინგრადის სამხედრო ოლქის სპორტული კლუბის ზამთრის სტადიონზე დაიწყო კალათბურთში საბჭოთა კავშირის პირველობის პირველი წრის მეორე ტურის შეხვედრები. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობს „ა“ კლასის ვაჟთა და ქალთა 24 კოლექტივი. ჩემპიონატის პირველ დღეს გაიმართა 12 შეხვედრა. რა თქმა უნდა, ამ დღეს ყურადღების ცენტრში იყო თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდისა და თბილისის „დინამოს“ შეხვედრა. მაყურებელი გულთბილად შეხვდა ამ ორი პოპულარული კოლექტივის გამოჩენას მოედანზე. თბილისელებმა თამაში ასეთი შემადგენლობით დაიწყეს — აბაშიძე, გვანცელაძე, მინაშვილი, ხაზარაძე, კილაძე. არმიელთა შორის იყვნენ — ტრავინი, ბოჩკარიოვი, ზუბკოვი, სემიონოვი, ანტონოვი.

შეხვედრა მეტად მაღალი ტემპით დაიწყო. პირველსავე წუთზე სემიონოვმა და ბოჩკარიოვმა ჩააგდეს თბილისელთა კალათში თითო ბურთი და მოსკოვის გუნდი დაწინაურდა — 4:0. შემდეგ კილაძემ შორი მანძილიდან სროლით ორი ქულა მოიგო. მაგრამ, იმავე წამს არმიელები თავისუფლად გადიან თბილისელთა ფარქვეშ — ანგარიში ხდება — 9:3.

მე-9 წუთზე კილაძის, მინაშვილის, აბაშიძის აქტიური თამაშით წინ გავიდნენ თბილისელები — 21:16. არმიელთა გუნდის მწვრთნელმა მთლიანად გამოცვალა პირველი შემადგენლობა. მოედანზე გამოდიან კაზაკოვი, კარპოვი, მოისეევი, კაპილოვი და ხარიტონოვი. ისინი თამაშობენ დაახლოებით 8 წუთს და მე-17 წუთზე ადგილი კვლავ პირველ შემადგენლობას დაუთმეს. პირველი ნახევრის უკანასკნელ წუთებზე არმიელებმა შეამცირეს ანგარიშში განსხვავება, მაგრამ ტაიმი მაინც თბილისელებმა მოიგეს — 36:34.

მეორე ნახევარში ამკარა გახდა, რომ ზუბკოვმა ვერაფერი მოუხერხა ხაზარაძეს, რომელიც აშკარად სჯობნიდა თავის მეტოქეს. მაგრამ თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ხაზარაძემ და მთავარმა სნაიპერმა კილაძემ სამწუხაროდ, ხუთი პერსონალური შენიშვნა მიიღეს და მოედანი დატოვეს. მათი ადგილი დაიკავეს ასტაშვილმა და გოგელიამ. 24-ე წუთზე ანგარიშიც გათანაბრდა — 40:40. შემდეგ ისევ მოსკოველები დაწინაურდნენ—47:42, ამ დროს მოედანი დატოვა მინაშვილმაც. თამაშის დამთავრებას აკლდა 10 წუთი, როდესაც ასტაშვილმა ზუსტი სროლით წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 51:50. დარჩენილ დროში უპირატესობა ხან ერთი, ხან მეორე გუნდის მხარეს იყო, მაგრამ ძირითადმა დრომ მაინც ვერ გამოავლინა უძლიერესი. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 66:66.

დამატებით 5 წუთში გოგელიამ გაზარდა ანგარიში. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ გოგელიამ ამ შეხვედრაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა. უკანასკნელ წუთზე არმიელებმა მოახერხეს რამდენიმე ქულის აღება. დრო ამოიწურა. ამ საინტერესო შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 74:72 არმიელთა სასარგებლოდ.

თბილისის „ბურევესტნიკმა“ (ვაჟები) ამ დღეს დამარცხება განიცადა რიგის ოსკა-საგან—53:73, ხოლო მოსკოვის „სერპ ი მოლოტმა“ (ქალები) მოუგო დაძაბულ ბრძოლაში თბილისის „ბურევესტნიკს“—45:43.

პირველი დღის დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: **ქალები** — სვერდლოვსკი-„ბურევესტნიკი“ (როსტოვი) — 51:35, „ბურევესტნიკი“ (მოსკოვი)-„ყალგირისი“ (კაუნასი) — 62:43, ოსკ (ლენინგრადი)-„დაუგავა“ (რიგა) — 46:43, „კალევი“ (ტარტუ)-„ტრუდი“ (მოსკოვი)—50:34, „დინამო“ (მოსკოვი)-„ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — 63:58.

ვაჟები: სვერდლოვსკი-„ყალგირისი“ (კაუნასი) — 76:66, „ბურევესტნიკი“ (ალმა-ატა)-„კალევი“ (ტალინი) — 63:52, „სპარტაკი“ (რიგა)-„დინამო“ (მოსკოვი) — 73:61, „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი) — 90:71.

გათამაშების მეორე დღეს თბილისის „დინამო“ შეხვდა ალმა-ატის „ბურევესტნიკს“. როგორც სჩანს, წინა დღის დაძაბულობამ იმოქმედა თბილისელებზე. მათ შედარებით უფერულად ჩაატარეს ეს შეხვედრა. მატჩის პირველივე წუთიდან, მის დამთავრებამდე უპირატესობა ანგარიშში ალმა-ატელთა მხარეს იყო, რომლებმაც მოიგეს კიდეც თამაში მინიმალური უპირატესობით—42:41. სამაგიეროდ, ამ დღეს ძლიერად ითამაშა თბილისის „ბურევესტნიკმა“. ვინ იფიქრებდა, რომ თბილისელთა ახალგაზრდული კოლექტივი დაამარცხებდა ლენინგრადის „ბურევესტნიკის“ ძლიერ გუნდს თავისივე მოედანზე.

შეხვედრის დაწყებიდანვე თბილისელებმა (ლეკვა, ქოლტი, ლომსაძე, კაკაურიძე, აჩბა) თავბრუდამხვევ ტემპში შეუტიეს ლენინგრადელთა (ბენედიქტოვი, მამონტოვი, კუტუზოვი, ფომიჩევი, კაჩაიკინი) ფარს. ანგარიში განუწყვეტლივ თბილისელთა სასარგებლოდ იზრდებოდა 4:3, 13:10, 15:13, 20:18. თბილისელები არ უკლებენ ტემპს, ხოლო ლენინგრადელები ჩამორჩებიან მათ სისწრაფეში და აი, ანგარიშში განსხვავება უკვე საგრძნობი ხდება — 26:18. მე-13 წუთზე თბილისის გუნდი წინ იყო 8 ქულით — 30:22. ლენინგრადელებმა თბილისელთა შტურმის შენელება წუთშესვენებების აღებით სცადეს და ერთგვარ მიზანსაც მიაღწიეს, უკანასკნელ წუთზე ისინი წინ გავიდნენ ერთი ქულით — 39:38.

მეორე ნახევარში უპირატესობა კვლავ თბილისელთა მხარესაა, თუმცა ლენინგრადელებიც მათ კვალდაკვალ მისდევდნენ. თამაშის 40 წუთი ამოიწურა, თბილისელ „ბურევესტნიკმა“ მოიპოვა სპატიო გამარჯვება — 74:72. უნდა ითქვას, რომ ამ თამაშით თბილისის ახალგაზრდულმა კოლექტივმა ლენინგრადელ მაყურებელთა სიმპატიები დაიმსახურა.

ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვა თბილისის „ბურევესტნიკის“ ქალთა კოლექტივმა, რომელმაც დაამარცხა მოსკოვის „ტრუდი“ — 54:49.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: **ქალები** — „კალევი“ (ტარტუ)-„ყალგირისი“ (კაუნასი) — 68:51, „დაუგავა“ (რიგა)-„ბურევესტნიკი“ (როსტოვი) — 69:49, „სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი)-„დინამო“ (მოსკოვი) — 59:54, „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი)-სვერდლოვსკი — 61:51, ოსკ (ლენინგრადი)-„ბურევესტნიკი“ (მოსკოვი) — 61:56.

ვაჟები: ოსკ (რიგა)-„სპარტაკი“ (რიგა) — 77:62, „სპარტაკი“ (მოსკოვი)-სვერდლოვსკი — 74:72, „კალევი“ (ტალინი)-„ყალგირისი“ (კაუნასი) — 66:51, ცსკმო-„დინამო“ (მოსკოვი) — 74:65.

ვ. ჯაფარიძე,
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

საბჭოთა კავშირის პირველობა კალათბურთში

გათამაშების ცხრილი

ვაჟები

	თ	მ.	წ.	ქ
ცსკმო მოსკოვი	7	7	0	7
ოსკ რიგა	7	6	1	4
„ბურ“. ალმა-ატა	7	5	2	5
„დინამო“ მოსკოვი	7	4	3	4
„დინამო“ თბილისი	7	3	4	3
„ბურ“. ლენინგრადი	7	3	4	3
„სპარტაკი“ მოსკოვი	7	3	4	3
„სპარტაკი“ რიგა	7	3	4	3
„კალევი“ ტალინი	7	2	5	2
სვერდლოვსკი	7	2	5	2
„ყალგირისი“ კაუნასი	7	2	5	2
„ბურ“. თბილისი	7	2	5	2

ქალები

	თ.	მ.	წ.	ქ.
„დინამო“ მოსკოვი	7	6	1	6
„კალევი“ ტარტუ	7	6	1	6
„ბურევესტნიკი“ ლდ.	7	5	2	5
„სერპ ი მოლოტი“ მოსკ.	7	5	2	5
„დაუგავა“ რიგა	7	4	3	4
„ყალგირისი“ კაუნასი	7	3	4	3
„ბურ“. მოსკოვი	7	3	4	3
„ტრუდი“ მოსკოვი	7	3	4	3
ოსკ ლენინგრადი	7	3	4	3
სვერდლოვსკი	7	2	5	2
„ბურ“. თბილისი	7	1	6	1
„ბურ“. როსტოვი	7	1	6	1



მ ო ს კ ო ვ ი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის ზონალური პირველობა კრივში, სადაც უმჩატეს წონაში პირველი ადგილი დაიკავა „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელმა ვ. სტოლნიკოვმა.

ს ურ ა თ ზ ე: სტოლნიკოვის ფინალური შეხვედრის მომენტი არმიელ მ. რუშანსკისთან. ნოკდაუნშია რუშანსკი.

რევაზ ასაევი

ოსი მოჯირითენი

საფესტივალო რვეულიდან

მწვანე ველია, მას თუ გინდა ზეცაც
დაარქვი,
იქვე პოლარულ ვარსკვლავს მოჰგავს
მოსკოვ-ქალაქი.
აქ გამომგზავნა თვალშეუდგამ
ქვეყნიერებამ
ახალგაზრდობა — ხვალის დღე და
ბედნიერება.
დოლი დაიწყო.
ახმაურდა ცხენთსარბიელი,
ხალხი უყურებს, გულში უვლის ღელვა
ძლიერი.
გრგვინავს ორკესტრი, ლაგამს გლეჯენ
ბედაურები,
ქართულ ცხენბურთმა დაატყვევა
ყველას გულები.
შავარდნებივით ჩააფრინდნენ აღვირს
თითებით,
აჰა, გაიჭრნენ ველზე ოსი მოჯირითენი.
კონტემიროვებს — გულმამაც ძმებს
შეხედეთ აბა,
მათი მერნები მიფრინავენ ელვაზე
სწრაფად.
გაქანებული ცხენებიდან ხან ძირს
ხტებიან,
ხან კი უშანგებს ხურჯინივით
ეკიდებიან.
მიწამდე დარჩათ მხოლოდ ერთი
ხელის დადება, —
არის ქალების შეკივლება და
შეცხადება:
მაგრამ წამიც და... ძმები ისევ
მერნებზე ხხედან,
კვლავ წინ ქროლვა და შემართება
ამშვენებთ მხედართ.
ცხენკაცი მოჰგავს ბაყბაყდევის
გასროლილ ისარს,
ხანჯლებზე სხივი უცივლიგებთ
ზაფხულის მზისა.
აღვირებს ხარბად ჩაფრენიან გმირთა
ხელები,
გაკვირვებული შეჰყურებენ
უცხოელები.
ძმებს ტაშს უკრავენ ციმბირელი
ახოვანები,
მეც, ოსი კაცი, ვღელავ მეტი
აღფრთოვანებით.
ჭაღარა ულვაშს რომ ისწორებს
მარჯვენა ხელით,
თვით ბუდიონსაც მოსწონს ალბათ
ჯირითი ჩვენი.
თბილი დიმილი დასთამაშებს
გაშლილ წარბიანს,
კმაყოფილებით გადაჰყურებს ცხენთა
სარბიელს.
ახლა მას ალბად აგონდება
ახალგაზრდობა,
ბრძოლებში ქროლვა, ცრიცინი,
მტრის არდანდობა,
როცა მომხდურებს მამულის მტრებს
ხმალდახმალ ჩეხდა,
როცა დამეებს ამ დღისათვის
ბრძოლებში ტეხდა.

თარგმანი ოსურიდან

თ. ჯანგულაშვილისა.

გამოსავალს მხოლოდ სიკვდილში ხედავენ

ასე შესაძლოა რომელიმე იტალიური ნეორეალისტური ფილმი დაიწყოს: რომის მეტროპოლიტენის ერთ-ერთ სადგურში ახალგაზრდა კაცი მატარებელს შეუვარდა ქვეშ. რამდენიმე წამი და ფაქტის დადასტურება ხდება — ახალგაზრდა ხეცოცხლეს გამოესალმა.

მაგრამ ამჯერად საქმე ფილმის დასაწყისთან ან რომელიმე ავტორის ფანტაზიის ნაყოფთან კი არ გვაქვს, არამედ სპორტსმენის ბედ-იღბალთან. ეს, რაც რომში მოხდა, მძიმე, საზარელი სინამდვილეა. თავი მოიკლა გაბა შაბადმა—უნგრელ წყალბურთელთა ნაკრები გუნდის ყოფილმა წევრმა.

გაბა შაბადი იმათ რიცხვში აღმოჩნდა, ვინც დაუჯერა ყველა დაპირებებს, რომლებიც უხვად დაეყარეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტსმენებს მელბურნში, ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ. საბედისწერო ქარმა მსოფლიოში მიმოფანტა ისინი, ვინც სამშობლოში დაბრუნება აღარ ისურვეს, შაბადი იტალიაში დარჩა. მას აქეთ მსოფლიოს სპორტულ საზოგადოებრიობას მის შესახებ არაფერი სმენია. და მხოლოდ ახლა, როდესაც სასოწარკვეთილმა სპორტსმენმა თავი მოიკლა, საგაზეთო ინფორმაციის წყალობით წამიერად დაინტერესდა მისი ბედით თუ უბედობით მკითხველი.

დასავლეთის პრესაშიც კი ბევრი აღმოჩნდა ისეთი, ვინც უნგრელ სპორტსმენთა ეს არასწორი საქციელი დაგმო. ზოგიერთი ადრე მიხვდა შეცდომას. შანდორ იხაროში, მსოფლიო რეკორდსმენი ორ, სამ და ექვს მილზე რბენაში, სამშობლოში დაბრუნდა თავის ცოლთან, შუბის ცნობილ მტყორცნელთან ერთად. დადის ხმები, რომ ლასლო ტაბორი, მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი 1500 მეტრზე რბენაში, ამერიკის შეერთებული შტატებიდან სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობს. ფერენც პუშკაშს კი, რომელიც ოდესღაც ფეხბურთის მოყვარულთა სათაყვანებელი კერპი იყო, სამშობლოში დაბრუნების ნატვრისათვის არ სცალია, იგი დროს ვენის ყავახანებში ატარებს და თავის დიდებას ივონებს. სხვა მას არაფერი დარჩენია. ერთხელ კიდევ გახმაურდა პუშკაშის სახელი, მაგრამ ამჯერად მას სასახელო არაფერი ჩაუდენია. პუშკაშმა „დახმარება“ შეთავაზა მანჩესტერს, მას სურდა ბიზნესი გაეკეთებინა იქ. სადაც მიუნჰენში მომხდარმა კატასტროფამ მძიმე იარები დატოვა.

ასეთია უთავსტომოთა საბედისწერო დასკვნა: გამოსავალს სხვის ან საკუთარ სიკვდილში ხედავენ.

⊙ კარლ-მარქს-შტადტი. მძლეოსანთა შეჯიბრებაზე, რომელიც დაბურულ შენობაში მოეწყო, ვ. ბეფილმა სიმაღლეზე ხტომაში აიღო 2 მეტრი.

ეს გერმანიის ახალი რეკორდია.

⊙ ლენცერჰაიდე (შვეიცარია). აქ გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება სლალომში ავსტრიის, შვეიცარიის, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, იტალიის, საფრანგეთისა და სხვა სახელმწიფოთა სპორტსმენების მონაწილეობით.

ქალთა შორის გაიმარჯვა ჰ. ჰორჰეერმა. ვაჟთა შორის პირველი-მეორე ადგილები გაუყვეს ე. ჰინტერზეერმა და ა. ლაიტნერმა. ყველა გამარჯვებული ავსტრიელია.

⊙ მიუნჰენი. დიდი ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ თხილამურებში სპორტულ ეურნალისტთა შორის. ვაჟთა შორის უძლიერესნი იყვნენ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის, ხოლო ქალთა შორის — პოლონეთის ეურნალისტები.

⊙ ბრიუსელი. გრძელდება ბელგიის ჩემპიონატი ფეხბურთში. 22-ე ტურის შემდეგ გათამაშებას ლიდერობს „ბეერსკოტი“—31 ქულა. „ანდერლეჰტსა“ და „სტანდარტს“ აქვთ 30 ქულა თვითეულს.

⊙ დუბლინი. ირლანდიისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ნაკრები გუნდების შეხვედრა კრივში დამთავრდა გერმანელთა გამარჯვებით — 16:4.

⊙ პრაღა. ჩეხოსლოვაკიის 1958 წლის ჩემპიონობა მაგდის ჩოგბურთში მოიპოვა ვიხნანოვსკიმ, რომელმაც ფინალში დაამარცხა ტერება.

⊙ პეკინი. მძლეოსანთა ერთ-ერთ შეჯიბრებაზე განახლებულ იქნა ორი ეროვნული რეკორდი. საი-შუმ ჭოკით ხტომაში დაძლია 4,34 მ სიმაღლე, ხოლო ჩო ლი-ამ 400 მეტრი თარჯებით გაირბინა 54,9 წამში.

⊙ ტოკიო. აზიის კონტინენტის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებულ იქნა ცნობილი იაპონელი მოეიურაეე ტაკაში. „შიმოტო, რომელსაც ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში.

⊙ სიდნეი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბეტი კატბერტმა (ავსტრალია) 100 იარდი გაირბინა შესანიშნავ დროში — 10,4.

⊙ ვარშავა. პოლონეთის ჩემპიონობა კალათბურთში ვაჟთა შორის მოიპოვა ქ. პოზნანის გუნდმა.

⊙ მონტევიდეო. ბრაზილიის ახალი რეკორდი 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში დაამყარა მ. დოსსანტოსმა, რომელიც მონაწილეობდა შეჯიბრებაში სამხრეთ ამერიკის პირველობაზე. მისი შედეგია 56,6.

⊙ ვენა. რამდენიმე დღეში გაიყიდა სამთო-სათხილამურო სპორტში ოლიმპიური ჩემპიონის ა. ზაილერის წიგნი — „ჩემი ოქროს მედლები“.

⊙ ლუქსემბურგი. 4-13 აპრილს აქ ჩატარდება მოზარდ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. საორგანიზაციო კომიტეტში ჯერჯერობით შემოსულია 16 ქვეყნის განაცხადები, მათ შორის არიან საფრანგეთი, ბელგია, ინგლისი, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, საბერძნეთი, გერმანია, ლუქსემბურგი და სხვ.

⊙ სენ-ლუი. ამ ქალაქის ფეხბურთელთა გუნდი „კუტისი“ ამერიკის შეერთებული შტატების 1957 წლის ჩემპიონია. კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მოაწყოს ამხანაგური მატჩები სსრ კავშირის სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ან „ლოკომოტივის“ რომელიმე გუნდთან.

იტყობინებიან, რომ მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს.

⊙ პარიზი. ფრანგმა პლანერისტმა დ. ბარბერამ მოახდინა სარეკორდო გადაფრენა ალპებზე. პლანერითი „ბრეგეტ—901“. იგი აფრინდა ობანსიურ-დიურანეში, განვლო 460 კილომეტრი და დაეშვა ავსტრიაში ქალაქ ფრაუენფელდის ახლოს. სპორტსმენმა გადაუარა მონბლანისა და იუნგფრაუს მწვერვალებს. მაქსიმალური სიმაღლე ფრენის დროს უდრიდა 5.700 მეტრს.

გათამაშების კალენდარი

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში „ბ“ კლასის IV ზონის გუნდებისათვის

12 ივნისი

„სპარტაკი“ (ერევანი) — საერთაშორისო შეხვედრა. „ტრუდი“ (ასტრახანი) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო).

13 ივნისი

„თერგი“ (გროზნო) — ოსკ (დონის როსტოვი). „ტემპი“ (მახაჩყალა) — „შახტიორი“ (შახტი). „მეტალურგი“ (სტალინგრადი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი). „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „შირაქი“ (ლენინაკანი). „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — „შახტიორი“ (კადიევკა).

14 ივნისი

ოსკ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (არტემოვსკი).

17 ივნისი

„ნეფტიანიკი“ (ბაქო) — საერთაშორისო შეხვედრა. „მეტალურგი“ (სტალინგრადი) — „ტრუდი“ (ასტრახანი).

18 ივნისი

„შირაქი“ (ლენინაკანი) — „სპარტაკი“ (ერევანი). „ტემპი“ (მახაჩყალა) — „თერგი“ (გროზნო). „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — ოსკ (თბილისი) „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „სპარტაკი“ (სტავროპოლი) ოსკ (დონის როსტოვი) — „შახტიორი“ (შახტი). „შახტიორი“ (კადიევკა) — „ლოკომოტივი“ (არტემოვსკი).

22 ივნისი

„სპარტაკი“ (ერევანი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი). „ნეფტიანიკი“ (ბაქო) — „შირაქი“ (ლენინაკანი). ოსკ (თბილისი) — „თერგი“ (გროზნო). „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — „ტემპი“ (მახაჩყალა). „სპარტაკი“ (სტავროპოლი) — „მეტალურგი“ (სტალინგრადი). „შახტიორი“ (შახტი) — „შახტიორი“ (კადიევკა). ოსკ (დონის როსტოვი) — „ლოკომოტივი“ (არტემოვსკი).

25 ივნისი

„ყუბანი“ (კრასნოდარი) — საერთაშორისო შეხვედრა.

27 ივნისი

„შირაქი“ (ლენინაკანი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი). ოსკ (თბილისი).—„ტემპი“ (მახაჩყალა). „თერგი“ (გროზნო) — „ლოკომოტივი“ (ქუთაისი). „ტრუდი“ (ასტრახანი) — „სპარტაკი“ (სტავროპოლი). „შახტიორი“ (კადიევკა) — ოსკ (დონის როსტოვი) — „ლოკომოტივი“ (არტემოვსკი) — „შახტიორი“ (შახტი).

1 ივლისი

„ტრუდი“ (ასტრახანი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი).

2 ივლისი

„შახტიორი“ (კადიევკა) — საერთაშორისო შეხვედრა. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო). „სპარტაკი“ (სტავროპოლი) — „სპარტაკი“ (ერევანი).

6 ივლისი

„თერგი“ (გროზნო) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო).

26 ივლისი

ოსკ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ერევანი).

სპორტული ქრონიკა

მცხეთის რაიონის ქვემო ნიჩბოსასოფლო კლუბში მოეწყო მასწავლებელთა ზონალური შეჯიბრება ჭადრაკში.

ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა ფიზკულტურის მასწავლებელმა ვ. ხუტაშვილმა (ზემო ნიჩბისი).

გ. ყენინიშვილი

* * *

ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოედანზე ერთმანეთს შეხვდნენ ტექნიკუმისა და ი. ჭავჭავაძის სახ. საშუალო სკოლის გუნდები ფრენბურთსა და კალათბურთში. ფრენბურთში ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს ტექნიკუმელებმა, ხოლო კალათბურთში მოსწავლე სპორტსმენებმა — 40:36.

გ. ბაგაური

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დადმართი № 12. დეპეშებისთვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3 89 62. 3.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3.90.31. მორიგისა და გამომშვების — 3 01 06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბ-ლისი, ლენინის ქ. № 14.